

ხელნაწერის უფლებით

**ა(ა)იპ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური
მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო
აკადემია და სემინარია**

**სადოქტორო-საგანმანათლებლო მიმართულება
პატროლოგია**

ირაკლი ორჭონია

**ეკლესიის მამათა ჰექსემერონული კომენტარების
თეოლოგიური ანალიზი**

თეოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი ნაშრომის

სადისერტაციო მაცნე

თბილისი

2017

ნაშრომი შესრულებულია ა(ა)იპ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის პატრისტიკისა და დოგმატიკის კათედრაზე; მიმართულება - პატროლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **ედიშერ ჭელიძე**,
ფილოლოგიისა და თეოლოგიის დოქტორი,
პროფესორი, გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი;

შემფასებლები:

1. დეკანოზი **მიქაელ გალდავა**,
ფილოლოგიისა და თეოლოგიის დოქტორი, პროფესორი.
2. დეკანოზი **გიორგი გუგუშვილი**,
ისტორიისა და თეოლოგიის დოქტორი, პროფესორი.

დისერტაციის დაცვა შედგება 2017 წლის 12 დეკემბერს 10 საათზე საქართველოს საპატრიარქოში, ა(ა)იპ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის სადისერტაციო კომისიის სხდომაზე.

მისამართი: მეფე ერეკლე II-ის მოედანი № 1.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ბიბლიოთეკაში.

სადისერტაციო მაცნე დაიგზავნა 2017 წლის ____ ნოემბერს.

სადისერტაციო საბჭოს მდივანი:

დეკანოზი **ბიძინა გუნია**, ფილოლოგიისა და თეოლოგიის დოქტორი, პროფესორი, გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

სადოქტორო ნაშრომში წარმოდგენილია პატრისტიკულ მემკვიდრეობაში დაცული ჰექსემერონული კომენტარების თეოლოგიური ანალიზი. გამოკვლევა ორ ნაწილად იყოფა. პირველი ნაწილის სათაურია *ქრისტიანული კოსმოლოგია*, ხოლო მეორისა - *ქრისტიანული ანთროპოლოგია*. პირველი ნაწილი ცხრა თავისაგან შედგება და წმინდა წერილში აღწერილი თანმიმდევრობის შესაბამისად არის განხილული თითოეული მუხლი; კერძოდ, თუ როგორ განიმარტება საეკლესიო ტრადიციაში მოსე წინასწარმეტყველისთვის გაცხადებული უწყება დასაბამად ქმნილი ცისა და ქვეყნის შესახებ (შდრ. დაბ. 1. 1-2). ცალკე თავი ეძღვნება ჰექსემერონის პირველ დღეს («დღე ერთისას») არარსებობიდან მყოფობაში შემოყვანილი სინათლის ეგზეგეზის (შდრ. დაბ. 1.3). მორიგი საეკლესიო საკითხია მყართან და მყარსზედა წყლებთან დაკავშირებული თემატიკა (შდრ. დაბ. 1.6). გაანალიზებულია საეკლესიო სწავლება მესამე დღეს აღსრულებული დედამიწის დამფარავი წყლების შემოკრებას, ხმელეთის გამოჩენასა და მცენარეების აღმოცენებასთან დაკავშირებით (შდრ. დაბ. 1. 9-11). ახალი თავი ეთმობა უაღრესად საყურადღებო თემატიკას, თუ როგორ ხდებოდა დღე-ღამის მიმოქცევა პირველი სამი დღის განმავლობაში, მზის შექმნის უწინარეს. ვრცლად არის განხილული ჰექსემერონის მეოთხე დღეს ციური სხეულების ქმნადობის შესახებ საეკლესიო ეგზეგეტიკურ წყაროებში დაცული ცნობები (შდრ. დაბ. 1.14); ასევე შეჯერებულია ეკლესიის მამათა შესაბამისი განმარტებანი სტიქიონთა ურთიერთმიმართების თაობაზე. შემდეგ თავში წარმოდგენილია ვრცელი წყაროთმცოდნეობითი ანალიზი შესაქმის დღეების საათობრივ ხანგრძლივობასთან მიმართებით, თუ როგორ განიმარტება უაღრესად საყურადღებო ხსენებული მოვლენა საეკლესიო თვალთახედვით. ვინაიდან სამყაროს შექმნის ხანგრძლივობა წმინდა წერილში ექვსი დღით განისაზღვრება, ახალი განსახილავი თემაა რიცხვი ექვსის სრულყოფილებასთან დაკავშირებით მამათა შრომებში დაცული ცნობები.

სადოქტორო ნაშრომის მეორე ნაწილს *ქრისტიანული ანთროპოლოგია* ეწოდება და შვიდ თავს აერთიანებს. რადგან ადამიანის შესახებ სწავლების გადმოცემისას ეკლესიის მოძღვარნი ხშირად ღვთის ხატისებრ შექმნილი გონიერი არსების სხვა ქმნილებებზე აღმატებულებას ადამიანის შექმნის უწინარეს, მეხუთე და მეექვსე დღეს მყოფობაში შემოყვანილ ცხოველურ სამყაროსთან მიმართებით წაროაჩენენ და შესაბამის მაგალითებს მრავლად მოიხმობენ, სწორედ ხსენებული მიზეზით ჰექსემერონის მეხუთესა და მეექვსე დღეს აღსრულებული შესაქმე სადისერტაციო ნაშრომის მეორე ნაწილში გაეაერთიანეთ.

კვლევა იწყება განხილვით, თუ საკუთრივ ვის «ხატისებრ» შეიქმნა ადამიანი (შტრ. დაბ. 1. 26-27) და როგორ უნდა გაიგებოდეს წმინდა წერილის ბერძნულ ტექსტში ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით დამოწმებული ტერმინი - **κατ' εἰκόνα** (წმ. ეფრემ მცირის თანახმად, «ხატებრი»; პარალ. ფორმები: «ხატისებრ», «ხატისაებრ», «ხატებისაებრ») და რას გულისხმობს ხატება და მსგავსება. შემდეგ თავში წყაროთმცოდნეობითი ანალიზის საფუძველზე მიმოხილულია, ერთი მხრივ, ადამიანში შთაბერილი სამშენიველისა (ყუჩი) და, მეორე მხრივ, ცხოველისთვის მინიჭებული იმავე ტერმინოლოგიური შესატყვისის მქონე სამშენიველის (ყუჩი) ურთიერთმიმართების საკითხი და მათ შორის არსებული განსხვავება, რადგან გონიერი არსების გარდაცვალებისას სამშენიველი მარადისობაში გადაინაცვლებს, ხოლო უტყვევი ქმნილების სიკვდილის შემდეგ მისი ყუჩი მგანქარდება. ცალკე თავადაა გატანილი ადამიანში ღვთისაგან შთაბერილი სულის ადგილსამყოფელის შესახებ საეკლესიო რჯულდება. ასევე ეკლესიის მამათა შესაბამის შრომებზე დაფუძნებით განმარტებულია ღვთის ხატისებრ ქმნილ არსებაში წარმოდგენილი სქესობრივი განსხვავების (მამრობისა და მდედრობის) მიზეზი. ვრცელი მიმოხილვა ეთმობა ცოდვით დაცემის შემდეგ სტიქიონებად დაშლას დაქვემდებარებული ადამიანური სხეულის აღდგომის თაობაზე ეკლესიის წიაღში დაცული ეგზეგეზის ანალიზს. მორიგ ნაწილში, შესაბამის განმარტებებზე დაყრდნობით, „დაბადების“ წიგნის პირველ თავში მოსე წინასწარმეტყველის მიერ იდუმალი სახით კაცობრიობისთვის გაცხადებული ერთარსი ღმერთის სამპიროვნულობის გამაცხადებელი ადგილებია მოხმობილი შესაბამისი კომენტარებითურთ; ამასთან, საეკლესიო განმარტებების საფუძველზე განხილულია საკითხი: იცოდნენ თუ არა ძველი აღთქმის ეპოქაში მოღვაწე მამათთავრებმა და წინასწარმეტყველებმა, რომ ერთბუნებოვანი ღმერთი სამპიროსტასოვანია. და ბოლოს, ბიბლიურ ენაში დაფარული ღვთისმეტყველების საიდუმლოა წარმოჩენილი, თუ როგორ არის შესაძლებელი, მოსე წინასწარმეტყველის მიერ აღწერილი სწავლება (და, ზოგადად, წმინდა წერილში გადმოცემული მოძღვრება), გარდა პირდაპირი გააზრებისა, დაფარულ, ღრმა, იდუმალ შინაარსს დაიტყვედეს საკუთარ თავში.

თემის აქტუალობა

სადისერტაციო თემის - „ეკლესიის მამათა ჰექსემერონული კომენტარების თეოლოგიური ანალიზი“ - აქტუალობა მასში განხილული საკითხების მნიშვნელობით არის განპირობებული. უპირველესად შევნიშნავთ, რომ სხვა მეცნიერებებისაგან განსხვავებით, თეოლოგიურ საკითხებზე მსჯელობისას ახალ მოძღვრებებსა და დებულებებს,

ბუნებრივია, ვერავინ შეიმუშავებს, რადგან საუკუნეთა განმავლობაში ეკლესიის წიაღში დაცული უწმინდესი წყაროები ყოვლითურთ უცთომელ და ამომწურავ სწავლებებს შემოიკრებს. ამდენად, თანამედროვე ეპოქაში საღვთისმეტყველო კუთხით მიმდინარე სამეცნიერო საქმიანობა სწორედ ხსენებულ უძველეს პატრისტიკულ ლიტერატურას უნდა ეფუძნებოდეს და მათ ანალიზს გვთავაზობდეს. რაც შეეხება ჩვენს სადისერტაციო ნაშრომს, ვფიქრობთ, წარმოდგენილი თემატიკა მრავალი კუთხით წარმოაჩენს სიახლეს, ვინაიდან შესაბამის საკითხებზე მუშაობისას საკუთრივ დედანში (ბერძნულენოვან ეგზეგეტიკურ ტექსტებში) ასახულმა რეალობამ და მათმა მიმართებამ ქართული თარგმანებისადმი ბევრი საყურადღებო გარემოება გამოკვეთა. ამასთან, გარდა ცალკეული მნიშვნელოვანი ფილოლოგიური ასპექტებისა, აღსანიშნავია, რომ იმავე საეკლესიო წყაროებში (მამათა ეგზეგეტიკაში) რიგ საკითხებთან დაკავშირებით საერო მეცნიერებაში გამოთქმული შეხედულებების საღვთისმეტყველო ახსნა-განმარტება იძებნება, რითაც, ერთი შეხედვით, შეუთავსებელი და წინააღმდეგობრივი აზრებისა თუ ხედვების დაახლოვება არის შესაძლებელი. მაგალითად მოვიყვანთ თანამედროვე ეპოქაში სამყაროს ასაკთან დაკავშირებით გამოთქმულ თვალსაზრისებს, რომლის თანახმადაც, ქვეყნიერების წარმოშობა მრავალი მილიარდი წლით განისაზღვრება, მაშინ როდესაც, საეკლესიო რჯულდებით, ძველი აღთქმის ეპოქა, სამყაროს დასაბამიდან ქრისტეშობამდე, არასრულ ექვსი ათას წელს შემოიკრებს. ამჟამად, რომ წარმოდგენილი ორი თეზისი რადიკალურად განსხვავდება ურთიერთისგან და თითქოს მათი შეთანხმება ვერაფრით მოხდება, თუმცა საქმე ისაა, რომ შესაბამისი ეგზეგეტიკური წყაროების საფუძვლიანი შესწავლა ხსენებული წინააღმდეგობების მართებულად გადაჭრის შესაძლებლობას იძლევა.

ეკლესიის ძირითადი მიზანი და ამოცანები

სადოქტორო თემის მთავარი მიზანი და ამოცანაა წყაროთმცოდნეობითი ანალიზის საფუძველზე ქრონოლოგიური სიზუსტით (ჰექსემერონული დღეების მიმდინარეობის შესაბამისად) იქნას შესწავლილი „დაბადების“ პირველ თავში სამყაროს შექმნასთან დაკავშირებით გადმოცემული მოძღვრება, რაც შესაძლებელს გახდის, უმდიდრეს პატრისტიკულ ლიტერატურაში დაცული ცალკეული ეგზეგეტიკური შრომები ერთ მთლიანობაში იქნას აღქმული.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე და ძირითადი შედეგები

სადისერტაციო ნაშრომის სიახლე რამდენიმე კუთხით განისაზღვრება. კერძოდ, საყურადღებო გამოდგა სხვადასხვა ავტორის ბერძნულენოვანი ნაშრომების გაცნობისას აღმოჩენილი ტერმინოლოგიურ-

შინაარსობრივი მიმართებანი, რითაც შესაძლებლობა გვეძლევა, დავინახოთ, რიგ შემთხვევაში როგორ ეფუძნება მოგვიანებით ასპარეზზე გამოსული ესა თუ ის მოღვაწე ამა თუ იმ წმინდანის მიერ უწინარეს ჟამს გამოთქმულ სწავლებას. ასევე საგულისხმოა ბერძნული წყაროებისა და შესაბამისი ქართული თარგმანების შედარებისას გამოვლენილი ცალკეული ტერმინოლოგიური თუ კონტექსტუალური განსხვავებები, რაც ერთი მხრივ, დიდი ქართველი წმინდანების მთარგმნელობითი საქმიანობის სპეციფიკას წარმოაჩენს, მეორე მხრივ, უმნიშვნელოვანესი თეოლოგიური დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას იძლევა. სადოქტორო ნაშრომის ყველაზე არსებითი მხარე ისაა, რომ ერთსა და იმავე საკითხთან დაკავშირებული ეგზეგეტიკური მასალის შეჯერებამ, საკუთრივ თეოლოგიური ასპექტით, მკაფიოდ და ნათლად წარმოაჩინა მრავალი ისეთი საკითხი, რომელთა შესახებ ცალკე აღებული რომელიმე კონკრეტული შრომა ამომწურავ პასუხს არ იძლევა და მხოლოდ შესაბამისი პატრისტიკული წყაროების სისტემური შესწავლისას ხდება საცნაური მოსე წინასწარმეტყველის მიერ საღვთო შესაქმესთან დაკავშირებით იღუმალი სახით გაცხადებული მოძღვრების საღვთისმეტყველო აზრი.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები

სადისერტაციო ნაშრომის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები არსებითად არის პატრისტიკულ ლიტერატურაში დაცული ჰექსამეტრონული კომენტარების წყაროთმცოდნეობითი შესწავლა; სადოქტორო შრომაზე მუშაობისას გამოყენებული მეთოდოლოგია ხსენებულ საეკლესიო წყაროებში შემოკრებილი მასალის სისტემურ მიმოხილვასა და მათი ურთიერთმიმართების ანალიტიკურ გააზრებას გულისხმობს; ამასთან, შესაბამისი საკითხის საფუძვლიანი შემეცნების მიზნით, ხშირ შემთხვევაში, ქართული წყაროებისა და მათი ბერძნული დედნების შედარება-შესწავლა-ანალიზი ვაწარმოეთ, რაც საკვლევი თემატიკის ღრმად გააზრების შესაძლებლობას იძლევა.

ნაშრომის თეორიული ღირებულება

სადოქტორო ნაშრომის თეორიული ღირებულება ორი მიმართულებით განისაზღვრება. კერძოდ, ერთი მხრივ, ხშირია შემთხვევა, როდესაც საკვლევი თემატიკაზე მუშაობისას გარდაუვალი აუცილებლობა ბერძნული შესაბამისი წყაროების გაანალიზებას და მათ ქართულ თარგმანებთან შედარებას მოითხოვდა, რითაც შესაძლებელი გახდა უმდიდრესი საღვთისმეტყველო შინაარსის დამტკევი ბერძულ-ქართული ტერმინოლოგიის ურთიერთმიმართება გვეკვლია და, ამასთან, თითოეულ

მათგანში ნაგულისხმევი თეოლოგიური შინაარსი წარმოგვეჩინა. მეორე მხრივ, სადისერტაციო თემის თეორიული ღირებულება სხვადასხვა წყაროში გაბნეული ჰექსემერონული განმარტებების ერთ ქრონოლოგიურ მთლიანობაში თავმოყრაა.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა

უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ ამა თუ იმ ნაშრომის პრაქტიკულ მნიშვნელობას საკვლევი თემატიკის აქტუალობა განსაზღვრავს. ამდენად, ვინაიდან წმინდა წერილის თანახმად, სამყარო ყოვლისშემძლე ღმერთის შემოქმედებაა, რითაც სრული არაფრობიდან დასაბამი დაედო ყოველივე არსებულს, ხოლო აღნიშნული მოვლენა უდიდესი მისტიკით არის აღსავსე, სწორედ ეკლესიის მამათა მიერ გამოთქმული განმარტებანი გვაძლევს შესაძლებლობას, უცთომელად შევიმეცნოთ ქვეყნიერების წარმომავლობასთან დაკავშირებული ჭეშმარიტი მოძღვრება. საკუთრივ ჩვენი სადოქტორო შრომის პრაქტიკული დანიშნულება ისაა, რომ მკითხველის წინაშე მწყობრად იქნება წარმოდგენილი სხვადასხვა წყაროში გაბნეული ჰექსემერონული კომენტარები, რომლებსაც შესაბამისი საღვთისმეტყველო ანალიზი აქვს დართული; ამასთან, ხშირ შემთხვევაში ბერძნული ტექსტებისა და ქართული თარგმანების ურთიერთისადმი შედარებამ საყურადღებო გარემოებანი გამოკვეთა და მნიშვნელოვანი თეოლოგიური დასკვნების გაკეთების შესაძლებლობა მოგვცა, რაც ცალკე აღებული ერთი კონკრეტული შრომის შესწავლისას ვერ განხორციელდებოდა. ასევე შევნიშნავთ, რომ სადისერტაციო კვლევის პრაქტიკული დანიშნულება იქნება სასულიერო სასწავლებლებში შესაბამისი თემატიკის შესწავლისას მისი სახელმძღვანელოს სახით გამოყენება.

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა

წინამდებარე სადისერტაციო შრომა ორ ნაწილად იყოფა. პირველი ნაწილის სათაურია *ქრისტიანული კოსმოლოგია*, ხოლო მეორისა - *ქრისტიანული ანთროპოლოგია*. პირველი ნაწილი ცხრა თავს აერთიანებს და ჰექსემერონული დღეების მიმდინარეობის შესაბამისად არის განხილული თითოეული მუხლი. სადოქტორო გამოკვლევის მეორე ნაწილს *ქრისტიანული ანთროპოლოგია* ეწოდება და შვიდი თავისგან შედგება. ჯამში წარმოდგენილი გამოკვლევა 250 გვერდს მოიცავს.

შესავალი

საკითხი სამყაროს წარმოშობის თაობაზე უდიდეს დაინტერესებას იწვევდა კაცობრიობის განვითარების ყველა ეტაპზე. ანტიკური ბერძნული ფილოსოფია თვალნათლივ წარმოაჩენს, როგორი მრავალფეროვანი შეხედულება არსებობდა აღნიშნულ თემასთან მიმართებით. მაგალითად, თალესი ყველაფრის საფუძვლად წყალს მიიჩნევდა, ანაქსიმანდრე საგანთა პირველსაწყისად აპეიროსს ასახელებდა. მოგვიანებით არისტოტელე ანაქსიმანდრეს აპეიროსს მატერიას უწოდებს, რომლისგანაც, მისივე მოძღვრების თანახმად, სამყარო წარმოიშობა. ანაქსიმენე, წინამორბედთაგან განსხვავებით, ყოველივეს დასაბამად ჰაერს თვლიდა. მაგრამ, როგორც წმ. ბასილი დიდი შენიშნავს, ასპარეზზე ყოველი ახლადგამოჩენილი ფილოსოფოსი წინამორბედის შეხედულებას უპირისპირდებოდა და განაჩიქებდა, თავად კი სრულიად ახალ თვალსაზრისს სთავაზობდა საზოგადოებას.

ბუნებრივია, რომ საუკუნეთა განმავლობაში სამყაროს შექმნასთან დაკავშირებით გაჟღერებული მრავალი მოსაზრებიდან რომელიმე ერთი უნდა ყოფილიყო ჭეშმარიტების მაუწყებელი. საეკლესიო სწავლების თანახმად, ძვ. წ. აღ-ის მეორე ათასწლეულისას ისრაელისთვის გაცხადებულ რჯულში გამოითქვა სრული სისაესითა და სინამდვილით სწავლება ქვეყნიერების წარმოშობის შესახებ: „**დასაბამად ქმნა ღმერთმა ცაი და ქუეყანი**“ (დაბ. 1.1). სწორედ დამოწმებული სიტყვებით იწყებს თხრობას წინასწარმეტყველი მოსე და შემდგომ ბიბლიურ მუხლებში თანდათანობით გადმოგვცემს, თუ როგორ ვითარდებოდა მოვლენები ექვსი დღის განმავლობაში. თუმცა ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ზემოხსენებული საკითხის სიღრმისეული გააზრებისთვის, წმინდა წერილში აღწერილი მოვლენების კვალდაკვალ, მათთან დაკავშირებული საეკლესიო განმარტებებით უნდა ვიხელმძღვანელოთ, რომ საწინასწარმეტყველო სიტყვით გადმოცემული, დაფარული, ხორციელ თვალთაგან უხილავი და ოდენ ეკლესიის სულიერი მზერით განსაჭვრეტი მოძღვრება შევიმეცნოთ.

ამდენად, ერთი მხრივ, წმინდა წერილისა და, მეორე მხრივ, ეკლესიის წიაღში დაცული ეგზეგეტიკური წყაროების საფუძვლიანი შესწავლა შესაძლებლობას იძლევა, რომ ღვთისაგან გაცხადებული ჭეშმარიტება გავიაზროთ და უცდომელ მოძღვრებას ვეზიაროთ. სადოქტორო ნაშრომში „დაბადების“ წიგნის პირველ თავთან დაკავშირებით ეკლესიის მამათა მიერ გამოთქმული თუ დაწერილი ჰექსემერონული კომენტარების თეოლოგიური ანალიზია წარმოდგენილი. კერძოდ, კვლევის საგანია, თუ როგორ განმარტავს საეკლესიო ეგზეგეტიკა მოსე წინასწარმეტყველისთვის გაცხადებულ უწყებას ქვეყნიერების ქმნადობის შესახებ.

ნაწილი პირველი - ქრისტიანული კონცეფციები

თავი I. ეკლესიის მამათა სწავლება სამყაროს მყისიერი ქმნადობის შესახებ.

ეკლესიის მამათა სწავლების თანახმად, ცისა და ქვეყნის ქმნადობა («დაბადების» პირველ ორ მუხლში გადმოცემული სწავლება) ღვთისაგან აღსრულებული „უჟამო“, „მყისიერი“, „უშრომელი“ მოქმედებაა; თუმცა იმავე ეგზეგეტიკური წყაროების გაცნობისას არსებითად ორი განსხვავებული შეხედულება იკვეთება და ორივე მათგანი ყველაზე მკაფიოდ კაპადოკიელი მოღვაწეების, წმ. ბასილი დიდისა და წმ. გრიგოლ ნოსელის შრომებშია ასახული. საქმე ისაა, რომ პირველი მათგანი დასაბამად შექმნილ ცასა და ქვეყანას მატერიალურ მოცემულობად აღიქვამს და ამგვარი გააზრების არგუმენტად წმინდა წერილში დამოწმებულ ტერმინოლოგიაზე მიანიშნებს. კერძოდ, ვინაიდან საუბარია წყლით გარემოცულ მიწასა და, იმავდროულად, *წყალზე*, რომლის ზემოთაც სული ღვთისა მიმოიქცეოდა (შდრ. [დაბ. 1. 1-2]: „დასაბამად ქმნა ღმერთმან ცა და ქუეყანა... და სული ღმრთისა იქცეოდა *ზედა წყალსა*“; შდრ. ბერძ. Ἐν ἀρχῇ ἐποίησεν ὁ θεὸς τὸν οὐρανὸν καὶ τὴν γῆν... καὶ πνεῦμα θεοῦ ἐπενέφετο ἐπάνω τῶν ὕδατος), ამგვარი აღწერილობა, კესარია-კაპადოკიელი მღვდელთმთავრის თანახმად, დასაბამში ღვთისაგან მყისიერად შექმნილი ელემენტების (მიწისა და წყლის) შესახებ მოძღვრებას გადმოგვცემს.

იმავე ბიბლიური მუხლების კომენტარებისას წმ. გრიგოლ ნოსელი განსხვავებულ ეგზეგეზის წარმოგვიდგენს. ხსენებული მღვდელთმთავრის თქმით, დასაბამად არსებობამინიჭებული ცისა და ქვეყნის თაობაზე წერილში გადმოცემული მოვლენები (დაბ. 1. 1-2) არანივთიერი სამყაროს ქნადობას აღწერს. კერძოდ, ღმერთმა სულიერი (არამატერიალური) პირველსაფუძვლები «დაჰბადა» (მაგალითად, *სიმსუბუქე, სიმძიმე, სიმტკიცე, სირბილე, გაიშვიათებულობა, სიმკვრივე, სისველე, სიხველე, სიცოცხე, სიმსურველე, ფერი, სახე, გარშემოწერილობა, მანძილი...*), რომლებსაც კაპადოკიელი მოღვაწე ორი ტერმინოლოგიური შესატყვისით მოიხსენიებს: *ψλᾶ νοήματα* და *ἔνοιαί* (წმ. გიორგი მთაწმინდელის თარგმანის მიხედვით, «*გულისმრახვეანი წყლიღნი*» და «*გონებანი*»); თანამედროვე ქართულით, «*შეშველი აზრები*» და «*ცნებები*»). წმ. გრიგოლ ნოსელის თანახმად, სწორედ ხსენებული *ცნებები* და *შეშველი აზრები* ღვთის *დასაბამიერი, მყისიერი შესაქმე*, რომლებიც თავდაპირველად ურთერთისგან დამოუკიდებლად არსებობენ და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ერთერთს შეუკავშირდებიან ისინი, ჰექსემერონის პირველ დღეს («დღე ერთისას») შეგვამოვნდება მატერია, ოთხი სტიქიონი, რომელთა საშუალებითაც

მომდევნო ექვსი დღის განმავლობაში მთელი ხილული სამყარო ფორმირდება.

თავი II. ეკლესიის მამათა სწავლება ჰექსემერონის პირველ დღეს ქმნილი სინათლის შესახებ.

წმ. ბასილი დიდის ჰექსემერონული განმარტებების შესწავლისას საყურადღებო გარემოება იკვეთება. კერძოდ, დასაბამილებული სინათლის შესახებ საუბრისას, მართალია, ხსენებული მოღვაწე საკუთარ ჰომილიებში მცირე განხილვით შემოიფარგლა, მაგრამ წარმოდგენილი მსჯელობა უპირობო დასკვნის გამოთქმის შესაძლებლობას იძლევა: მყისიერი შესაქმნისას (*შდრ. დაბ. 1. 1-2*), კესარია-კაპადოკიელი მღვდელთმთავრის თანახმად, საყოველთაოდ ცნობილი ოთხი ელემენტიდან *მიწა, წყალი* და *ჰაერი* იძენს მყოფობას, ხოლო «დღე ერთისას» ქმნილი ნათელი სხვა არაფერია, თუ არა *ცეცხლის სტიქიონი*. რაც შეეხება საღვთო შემოქმედებაში წარმოჩენილ ამგვარ დანაწევრებას (ე. ი. მიწის, წყლის, ჰაერის დასაბამში შექმნას, «დღე ერთისას» კი ცეცხლის ელემენტის შეგვამოვნებას), ბასილი დიდის მიხედვით, ვინაიდან საღვთო ბრძანებით შექმნილი სინათლის ძალმოსილება ყოველივეს განათება და ხილვადობის მინიჭებაა, სწორედ ასეთი განსაკუთრებული და სხვა სტიქიონებზე აღმატებული თვისებების მიზეზით შეიძინა მან მყოფობა ჰექსემერონის პირველ დღეს, რითაც უწინარეს არსებული «*უხილავი და განუმზადებელი*» ელემენტები წაროაჩინა და გაამშვენა.

ზემოაღმოწმებული ეგზეგეზისისგან განსხვავებულ სწავლებას ვხვდებით წმ. გრიგოლ ნოსელის შრომაში „პასუხი ექუსთა მათ დღეთათჳს“. ღირსი მამის თანახმად, წმინდა წერილში ამოკითხული შინაარსი ჰექსემერონის პირველ დღეს მხოლოდ ერთი ელემენტის, ნათლის (ცეცხლის) ქმნადობის შესახებ მოძღვრებას აღგვიწერს, მაგრამ იქვე მოიაზრება დანარჩენი სამიც (მიწა, წყალი და ჰაერი). საქმე ისაა, რომ წერილის პირველი ორი მუხლი (*შდრ. დაბ. 1. 1-2*), ნისის ეკლესიის წინამძღოლის თქმით, გადმოგვცემს სწავლებას სულიერი პირველსაფუძვლების (ზემოსხენებული *მიწეული აზრებისა* და *ცნებების*) ქმნადობის შესახებ, რომლებიც საღვთო განგებულებით შეუკავშირდებიან რა ურთიერთს, მხოლოდ ამის შემდეგ ფორმირდება მატერია. შესაბამისად, ვინაიდან დასაბამად ქმნილი ცა და ქვეყანა, კაპადოკიელი მღვდელთმთავრის თანახმად, უნივთო შესაქმნა, ბასილი დიდის ზემოაღმოწმებული განმარტებისგან განსხვავებით, მასში ვერაფრით მოვიაზრებთ რაიმე ნივთიერს (მიწას, წყალსა თუ ჰაერს). ამდენად, რაჟამს წერილი ნათლის შექმნის თაობაზე აღგვიწერს მოძღვრებას (*შდრ. დაბ. 1.3*), აღნიშნულში სულიერი პირველსაფუძვლების შეკავშირების

შედგად მიღებული ცეცხლის სტიქიონი მოიაზრება, თუმცა, ნისელი მოღვაწის თქმით, სწორედ იმავე «დღე ერთისას» შეიქმნა მიწა, წყალი და ჰაერი.

უნდა აღინიშნოს, რომ წმ. იოანე დამასკელი დოგმატური ღვთისმეტყველების შემაჯამებელ სახელმძღვანელოში ზემოდამოწმებული ორი განსხვავებული სწავლებიდან ღირსი ბასილი დიდის მოძღვრებას იზიარებს. მისი თქმით, ჰაერი და წყალი ის სტიქიონებია, რომლებიც შესაქმის პირველ დღემდე იძენენ დასაბამს, ვინაიდან უფსკრულთა ზედა სიბნელის არსებობა თუ წყალთა ზედა საღვთო სულის მიმოქცევა (შდრ. ღაბ. 1.2) ჰაერსა და წყალზე მიგვანიშნებს, რომლებიც «დღე ერთის» უწინარეს, მყისიერი შესაქმისას შემოდიან არარსებობიდან არსებობაში. სინათლის მყოფობაში შემოყვანა კი, წმინდა წერილის მიხედვით, ჰექსემერონის პირველ დღეს ხორციელდება და ეს ნათელი, დამასკელი მოღვაწის თანახმად, სხვა არაფერია, თუ არა ცეცხლის სტიქიონი.

თავი III. ეკლესიის მამათა სწავლება ჰექსემერონის მეორე დღეს შექმნილი მყარისა და ზენა წყლების შესახებ.

წმ. ბასილი დიდის, წმ. იოანე დამასკელისა და სევერიანე გაბალოვნელის სწავლებების თანახმად, ღვთისაგან მეორე დღეს შექმნილი მყარის რამდენიმე უმნიშვნელოვანესი ფუნქცია იკვეთება. კერძოდ, მისი (მყარის) საშუალებით ზეცაში წყლის გარკვეული მარაგი იქნა დაუნჯებული, რომლითაც, საჭიროების შემთხვევაში, ერთი მხრივ, ქვეყნიური (ანუ მყარს ქვედა) წყლების მარაგის შევსება ხდება; მეორე მხრივ, ზედა წყლები უშუალოდ მყარს ქვემოთ განთავსებული ეთერული სიმსურვალისა და ზეციურ მანათობლებში დავანებული ცეცხლისგან იცავენ მყარს და რომ არა ნოტიო სტიქიონის დიდი ოდენობა, ცად წოდებული მყარი დაირღვეოდა (ცეცხლის მიერ შეიმუსრებოდა). ამასთან, წყლით შემოსაზღვრული მყარს ზედა სივრცე იმავე სტიქიონის სიჭარბის მიზეზით გაუმჭვირვალეა და მანათობელი სხეულისგან გამოვლენილ სინათლეს დედამიწის საპირისპირო მიმართულებით არ ატარებს. შესაბამისად, შიგნითა მხარეს მიმართავს მას, რითაც სამყაროში ხილული სინათლის არსებობას განაპირობებს.

განსხვავებულ მოძღვრებას წარმოგვიდგენს წმ. გრიგოლ ნოსელი. კაპადოკიელი მღვდელთმთავრის თანახმად, პირველ დღეს შექმნილი ნათლის (ანუ ცეცხლის სტიქიონის) სიმსუბუქე მის შეუჩერებელ მოძრაობას განაპირობებს, ე. ი. რა წამსაც ღვთისაგან შექმნილი სულიერი პირველსაფუძვლების შეერთების (ურთიერთდაკვესების) შედეგად ნივთიერი სახით ნათლის (ცეცხლის) ელემენტი შემოვიდა არარსებობიდან არსებობაში, მან, სიმსუბუქიდან გამომდინარე, ზემოთ დაიწყო სწრაფვა,

მაგრამ მიადღვია რა მატერიალური სივრცის უკიდურეს საზღვარს, რომლის მიღმაც არანივთიერი სამყარო იწყება, ბუნებრივია, მეტად ვეღარ მოახერხა ზეადსვლა (ვინაიდან, მართალია, ცეცხლი დანარჩენ სტიქიონებთან შედარებით ყველაზე ნაკლებად მატერიალურია, მაგრამ მიუხედავად ამისა, ის, როგორც ნივთიერი, მხოლოდ მატერიალური სოფლის ფარგლებში მოძრაობს). ამიტომაც სიმსუბუქით განპირობებული მარადისი მოძრაობის მიზეზით ნივთიერი სამყაროს უკიდურესი ზედა საზღვრის კვლად დაიწყო წრიული ბრუნვა და კოსმოსს ერთგვარი წრეწირი შემოავლო. კერძოდ, ცეცხლის მიერ განვლილი წრის მიღმა არანივთიერი სივრცეა, ხოლო წრის ქვემოთ ღვთისაგან შექმნილი პირველსაფუძვლების შეკავშირების შედეგად ფორმირებული მატერიალური სამყარო მდებარეობს. ნისელი მოღვაწის თანახმად, სწორედ ცეცხლის მიერ შემოწერილი საზღვარია ბიბლიაში ნახსენები მეორე დღეს შექმნილი მყარი.

თავი IV. ეკლესიის მამათა სწავლება ჰექსემერონის პირველი სამი დღის განმავლობაში დღე-ღამის მონაცვლეობის შესახებ.

წმ. ბასილი დიდის თანახმად, შესაქმნის დასაბამიერი სამი დღე პირველქმნილი ნათლის განვრცობითა და შემჭიდროვებით წარიმართა.

ღირსი ეფრემ ასურის მიხედვით, რაჟამს საღმრთო განგებით შექმნილი ნათელი მყარს ქვემოთ მდებარე, დედამიწის დამფარავ წყლებში პირველი სამი დღის განმავლობაში იძირებოდა, სამყაროში ღამე მეუფებდა, ნოტიო სტიქიონიდან აღმოცისკრებისას კი სიბნელეს დღე ენაცვლებოდა.

წმ. გრიგოლ ნოსელის სწავლებით, რაჟამს ჰექსემერონის პირველ დღეს შექმნილმა ნათელმა მატერიალური სამყაროს ზედა ნახევარსფერო წრიულად შემოწერა, კოსმოსის აღნიშნული ნაწილი (ზედა ნახევარსფერო) სინათლემ მოიცვა, ხოლო ქვედა ნახევარსფეროზე სიბნელე იყო. შემდეგ იმავე ნათელმა ქვედა ნახევარსფეროში გადაინაცვლა, ამჯერად ეს ნაწილი განათდა, ზედა ნახევარსფერო კი ბნელმა მოიცვა. ნათელი კვლავ იმ ადგილს დაუბრუნდა, საიდანაც პირველი წრიული მოძრაობა დაიწყო და სწორედ ამ პერიოდს ეწოდა «დღე ერთი» (ე. ი. დროის მონაკვეთი, როდესაც ცეცხლის სტიქიონმა სამყაროს ორივე სფერო თანმიმდევრულად გაანათა და სასტარტო პოზიცია დაიკავა). ნათელი, ამჯერად მეორეგზის, კვლავ იგივე საზღვრებში იწყებს მოძრაობას, როგორც პირველი დღის შემთხვევაში ხდებოდა ეს, და შედეგად იმავე წრიული სრბოლის დასასრულს ბიბლიური მეორე დღეც წარსულად იქცევა. ასე გრძელდება მესამე დღის ჩათვლით, ხოლო მეოთხე დღეს, შექმნა რა ღმერთმა ცის მნათობები, სამყაროს გარშემო მსრბოლი ნათელი

მათში დაამკვიდრა და ამიერიდან (ე. ი. მეოთხე დღიდან) დღე-ღამის მონაცვლეობა განგებულებით მნათობებისთვის მინიჭებული ფუნქციაა.

საყურადღებოა, რომ წმ. იოანე დამასკელმა შემაჯავებელ დოგმატურ სახელმძღვანელოში შემოდამოწმებული განსხვავებული მოსაზრებებიდან ღირსი ბასილი დიდის სწავლება გაიზიარა. დავიმოწმებთ შესაბამის ადგილს: „საღვთო ბრძანებით, სამი დღის განმავლობაში სინათლე **გაიშლებოდა** და **შემჭიდროვებოდა**. ასე დგებოდა დღე და ღამე. მაგრამ მეოთხე დღეს ღმერთმა შექმნა დიდი მნათობი ანუ მზე «დღის მოთავედ და მბრძანებლად» (დაბ. 1.16), რადგან მის მიერ შემყარდება დღე“. ბასილი დიდისა და ღირსი იოანე დამასკელის თანახმად, ჰექსემერონის პირველი სამი დღე-ღამის მონაცვლეობა ნათლის გაშლისა და შემჭიდროების შედეგია.

თავი V. ეკლესიის მამათა სწავლება ჰექსემერონის მესამე დღეს აღსრულებული მოვლენების შესახებ.

წმ. ბასილი დიდისა და ნეტარი ავგუსტინეს მიხედვით, სმელეთის ხილვადობა ღვთის ყოვლისშემძლეობით დედამიწის ზედაპირზე განვითარებულმა ჩაღრმავებებმა განაპირობა, რომლებშიც ბუნებრივად მოხდა წყლის ჩადინება, რამაც უწინარეს ყაშს დაფარული სმელეთი წარმოაჩინა. რაც შეეხება იმავე დღეს მცენარეების აღმოცენებას, წმ. თეოფილე ანტიოქიელისა და წმ. ბასილი დიდის თქმით, ვინმეს რომ მზის მსურვალეებისთვის არ მიეწერა ცხოველყოფელი ძალმოსილება, სწორედ ამ განზრახულებით დედამიწიდან მცენარეების აღმოშობა ციური სხეულების გაჩენის წინმსწრებია, რაც უსაფუძვლოს ხდის ქმნილებათა განმალმრთობელი ადამიანების განაზრახს, რომ მზეს, ვითარცა სიცოცხლის წარმომშობ არსებას, ეთაცყანონ.

თავი VI. ეკლესიის მამათა სწავლება ჰექსემერონის მეოთხე დღეს შექმნილი ციური სხეულების შესახებ.

ციური სხეულების წარმომავლობასთან დაკავშირებით ყველაზე ამომწურავ და სრულყოფილ ეგზეგეზისს წმ. გრიგოლ ნოსელი გვთავაზობს. შესაბამისად, სწორედ მის მიერ გამოთქმული განმარტების დასკვნით ნაწილს დავიმოწმებთ. კაპადოკიელი მღვდელთმთავრის თანახმად, პირველ დღეს შექმნილი ნათელი არაერთგვაროვნე იყო, რადგან მიუხედავად იმისა, რომ დანარჩენ სტიქიონებთან მიმართებით ყველზე მსუბუქია ის, საკუთარ თავში გარკვეულ თვისობრივ განსხვავებებს ავლენდა. ნათლის ერთი ნაწილი ნივთიერ სამყაროსთან შეფარდებით მაქსიმალურად არამატერიალური შედგენილობისაა და კაპადოკიელი მოძღვარი ასე ახასიათებს მას: „**წულილი იგი და მალე და**

სუბუქი და უნივთო და წმიდაჲ“; ე. ი. *განუყოფელი* („წულილი“), *მსწრაფმოძრაჲ* („მალე“), *მსუბუქი*, *მჩატე* („სუბუქი“) და *არამატერიალური* („უნივთო“); მაშინ როდესაც ჰექსემერონის დასაწყისში უმყოფობიდან არსად მოყვანილ იმავე ნათელში გაცილებით უფრო ნივთიერი ელემენტიც განიჭვრიტებოდა, რომელსაც თვისობრივი განსხვავების გამო შემოსხენებულთან შედარებით ნაკლები სიმსუბუქე, ნაკლები სისწრაფე და ნაკლები სიწმინდე გააჩნდა.

ნისელი მოღვაწის მიხედვით, პირველ დღეს დასაბამიღებული ნათლის სიმსუბუქე მის შეუჩერებელ მოძრაობას განაპირობებდა, ე. ი. რა წამსაც ღვთისაგან შექმნილი სულიერი პირველსაფუძვლების შეერთების შედეგად ნივთიერი სახით სინათლის ელემენტი შემოვიდა უმყოფობიდან არსებობაში, მან, სიმსუბუქიდან გამომდინარე, ზევითკენ დაიწყო სწრაფვა. მაგრამ ვინაიდან ხსენებული ნათელი შედგენილობის მიხედვით არაერთგვაროვანია, უნივთო სამყაროს მომიჯნავე მატერიალური სივრცის უკიდურეს საზღვარს ნათლის იმ ნაწილმა მიაღწია, რომელიც ყველაზე ნაკლებნივთიერი, მსუბუქი, მსწრაფლმოძრაჲ იყო, ხოლო უფრო ინერტული, უფრო უმოქმედო და უფრო უმოძრაო ნათელი კოსმოსის მხოლოდ იმ სივრცეშივე ამაღლდა, სანამდეც საკუთარი მატერიალური შედგენილობა აძლევდა გადაადგილების შესაძლებლობას, რადგან მართალია, მის მიერ მიღწეული სიმაღლის მიღმა (ზევით) კვლავ ნივთიერი სივრცე მდებარეობდა, მაგრამ ეს სივრცე ხსენებულ ნათელზე ნაკლებადმატერიალური იყო, რაც ბუნებრივად განაპირობებდა უფრო ნივთიერი ნათლის ზესწრაფვის შეზღუდვას, მაშინ როდესაც მოძრაობის გაგრძელების შესაძლებლობა სინათლის ოდენ იმ ნაწილს განესაზღვრა, რომელსაც *„წულილი იგი და მალე და სუბუქი და უნივთო და წმიდაჲ“* უწოდა კაპადოკიელმა მღვდელთმთვარმა და ამ ნათელმა, შემოთქმულისებრ, კოსმოსის უკიდურეს, მატერიალური სამყაროს გარემომზღუდავ საზღვარს დაუბრკოლებლად მიაღწია. წმ. გრიგოლ ნოსელის თანახმად, შესაქმნის პირველი სამი დღის განმავლობაში სინათლის შეუჩერებელი მოძრაობის კვალდაკვალ, საღვთო განგებულებით, იმავე ელემენტის დაყოფა-დანაწევრების პროცესი მიმდინარეობდა. კერძოდ, პირველქმნილი ნათლის ის ნაწილი, რომელიც ყველაზე ნაკლებადნივთიერი და, შესაბამისად, მსუბუქი იყო, სხვებს თანაწარხდა და ყოველგვარი წინაღობის გარეშე, ხილული სამყაროს უმაღლეს მიჯნას (ე. ი. ნივთიერისა და არანივთიერის საზღვარს) მიაღწია. რაც შეეხება დანარჩენს, უფრო მეტად მატერიალურმა ნათელმა იმავე მატერიალური თანაფარდობის მქონე სივრცეშივე იმოძრავა, რომლის იქითაც გადაადგილება მას აღარ ხელეწიფებოდა. კაპადოკიელი მოძღვრის მიხედვით, ხსენებული ელემენტის ურთიერთგამიჯვნა იმავე ლოგიკით

გაგრძელდა და ზემსრბოლი ნათელი, ნივთიერი მდგომარეობის შესაბამისად, შვიდ ნაწილად დანაწევრდა, რითაც, ნისის ეკლესიის წინამძღოლის სიტყვისაებრ, ჰექსემერონის მეოთხე დღეს შვიდ ცთომილსა (სატურნს, იუპიტერს, მარსს, მზეს, ვენერას, მერკურის, მთვარეს) და ვარსკვლავებს დაედო დასაბამი.

თავი VII. ეკლესიის მამათა სწავლება სტიქიონთა ურთიერთმიმართების შესახებ.

წმ. ბასილი დიდის, წმ. იოანე დამასკელისა და სევერიანე გაბალოვნელის მიხედვით, ჰექსემერონის მეორე დღეს შექმნილ მყარს ზემოთ მატერიალური წყალი მდებარეობს, რომლის ფუნქცია ცეცხლის სიმსურვალის განეიტრალებაა. კესარია-კაპადოკიელი მღვდელთმთავრის სიტყვებით, მარადის ერთმანეთთან დაპირისპირებაში მყოფ ორ სტიქიონს შორის ცეცხლი უფრო მძლავრია და საკუთარი სიმსურვალის ძალით ის წყლის რაოდენობას ამცირებს. საღვთო განგებით ცაში დაუნჯებული ნოტიო სტიქიონის მარაგი ისეა განსაზღვრული, რომ მათი ამოწურვა მეორედმოსვლას დაემთხვეს და თუ არა ამგვარი წინაგანსაზღვრულობა, წყლის გარეშე დარჩენილ სამყაროს ცეცხლი გაანადგურებდა.

წმ. გრიგოლ ნოსელი განსხვავებულ განმარტებას წარმოადგენს. მისი თქმით, წმინდა წერილის მიერ ნაუწყები მყარს ზედა წყლები - ესაა სიმბოლურ ენაზე გამოთქმული უწყება ანგელოზთა შესახებ (ე. ი. მყარს ქვემოთ პირდაპირი მნიშვნელობით ნოტიო სტიქიონი მდებარეობდა, ხოლო მყარს ზემოთ დანერგული წყალი უსხეულო ძალთა სიმრავლეა). შესაბამისად, თუკი ერთმანეთთან დაპირისპირებაში მყოფი სტიქიონების ურთიერთქმედების შედეგად ერთი (ცეცხლი) საკუთარი სიძლიერით მეორეს (წყლის) რაოდენობას განაქარვებს, მარაგების შევსება შეუძლებელი ხდება, რადგან, ნისის მღვდელთმთავრის თანახმად, ამგვარი მარაგები ცაში ფიზიკურად არ არსებობს. ამდენად, სტიქიონთა რაოდენობა თანაბარია. მართალია, ისინი ურთიერთს უპირისპირდებიან, მაგრამ არასოდეს ხდება ისე, რომ ერთ-ერთი მათგანის რაოდენობა იკლებდეს და ამის ხარჯზე მეორე სტიქიონის ძალა და მოცულობა მატულობდეს. ამდენად, კაპადოკიელი მოძღვარი საკუთარ შრომაში **ელემენტთა ურთიერთშორის გადასვლის თეორიას** ავითარებს.

თავი VIII. ეკლესიის მამათა სწავლება შესაქმის დღეების საათობრივი ხანგრძლივობის შესახებ.

თანამედროვე მეცნიერებაში მიღებული აზრია, რომ ქვეყნიერების დასაბამიდან დღემდე მილიარდობით წელია გასული, მაშინ როდესაც, საეკლესიო სწავლების თანახმად, სამყაროს შექმნასა და ქრისტეშობას

შორის დაახლ. 5500 წლიანი შუალედი (დაკონკრეტებულად: „ალექსანდრიული“ - 5492, „ბიზანტიური“ - 5508, „ქართული დასაბამით“ კი - 5604 წწ.). შესაბამისად, შეუძლებელია, ორივე თვალსაზრისი მივიჩნიოთ ჭეშმარიტებად (ე. ი. ერთი მხრივ, მითითება მილიარდობით წლის შესახებ და, მეორე მხრივ, არასრული ექვსი ათასწლეულის ხსენება).

აღნიშნული ორი ურთიერთსაწინააღმდეგო სწავლების დასაახლოებლად ბიბლეისტთა ნაწილმა გამოსავალი შესაქმნის დღეების თავისებურ განმარტებაში მოძებნა. მათი თქმით, როდესაც საუბარია სამყაროს დასაბამიდან ქრისტეშობამდე პერიოდზე და 5492, 5508 ან 5604 წელია მითითებული, ათვლის წერტილად ადამისა და ევას შეცოდებისა და ედემის ბაღიდან მათი განდევნის შემდგომი ჟამი მიიჩნევა, რადგან პირველშობელთა დაცემის შედეგად სამყარო ახლებურ წესრიგს დაექვემდებარა; ცვალებადობამ კი (ხრწანადობამ, მოწყვლადობამ, მოკვდავობამ) არა მხოლოდ ადამიანური ბუნება მოიცვა, არამედ - მთელი კოსმოსი. ზემოხსენებულ მკვლევართა აზრით, შესაბამისად, სწორედ ცოდვით დაცემამ დაუღო დასაბამი დღე-ღამის ოცდაოთხსაათიან ხანგრძლივობას. რაც შეეხება შესაქმნის ექვს დღეს, აღნიშნული დრო მათ მიერ ასტრონომიულ დღეებზე შეუდარებლად აღმატებულ - **«ზეჟამიეულო დროდ»** არის გააზრებული. ისინი მსჯელობას ლოგიკურად აგრძელებენ და ამბობენ, რომ ვინაიდან ქვეყნიერების ისტორიაში პირველი შეიდეულის დღეთა ხანგრძლივობა **„ზეჟამიერი (ე. ი. განუსაზღვრელი) დროა“**, რამდენიმე მილიონი წლით სამყაროს წარმოშობის დათარიღებას წინ არაფერი უდგას, რადგან **„ზეჟამიეულობა“** (ე. ი. დასაბამიერი პირველი ექვსი დღე), შესაძლოა, მრავალი ათასწლეული (მილიარდობით წელი) გაგრძელებულიყო.

ზემოხსენებული მოსაზრების საპირისპიროდ უნდა აღინიშნოს, რომ თეოლოგიურ საკითხებზე მსჯელობისას საფუძველთა საფუძველი ეკლესიის მამათა მიერ გამოთქმული სწავლებებია და არა კონკრეტულ პირთა კერძო შეხედულებანი. ამდენად, რაჟამს ხსენებული თემის განხილვა მიმდინარეობს, გარდაუვალი აუცილებლობით შესწავლილი უნდა იყოს შესაბამისი ეგზეგეტიკური წყაროები, რომელთა შეჯამების შედეგად ერთმნიშვნელოვანი და ცალსახა დასკვნა იკვეთება: **შესაქმის თითოეული დღე არათუ გაურკვეველი, იდუმალებით მოცული დროებაა, რაც სხენებულ ჟამში მილიარდობით წელს გვაგულვებინებს, არამედ შეატრად განსაზღვრული ოცდაოთხსაათიანი დღე-ღამე.** შესაბამისად, ეკლესიის მამები (წმ. თეოფილე ანტიოქიელი, წმ. ათანასე ალექსანდრიელი, წმ. ბასილი დიდი, წმ. ეფრემ ასური, ნეტარი აგვუსტინე, ანდრია კესარიის-კაპადოკიელი, წმ. იოანე დამასკელი, წმ. ექვთიმე ათონელი) საკუთრივ

სამყაროს შექმნიდან ქრისტეშობამდე განვლილ დროს, როგორც არასრულ ექვსი ათას წელს აღრიცხავენ.

თავი IX. რიცხვი ექვსის სრულყოფილებისა და მეშვიდე, შაბათის დღეს საუფლო განსვენების შესახებ.

თუ რატომ განისაზღვრა სამყაროს შესაქმნელად ექვსდღიანი ჟამი, ყველაზე ამომწურავ პასუხს ნეტარი ავგუსტინე წარმოადგენს. იპონიელი მღვდელთმთავარი რიცხვ ექვსს სრულყოფილების სიმბოლოდ მიიჩნევს, რადგან ის პირველია რაოდენობით რიცხვით სახელებს შორის, რომლის დანაწევრების შედეგად მიღებული რიცხვების შეკრებისას ჯამი კვლავ ექვსია. მაგალითად, ექვსი საკუთარ თავში მეექვსედსა და მესამედ ნაწილს, ე. ი. ერთსა და ორს მოიცავს და ასევე შუაზე გაყოფისას გვაძლევს სამს. თუკი ერთს ორს მივუმატებთ, ხოლო მიღებულ რიცხვს - სამს, ჯამი ექვსია. ამჯერად განვიხილოთ რიცხვი რვა: რვის მერვედი ერთია, მეოთხედი - ორი, ნახევარი - ოთხი, მათი (ერთის, ორისა და ოთხის) ჯამი კი შვიდს გვაძლევს და არა რვას. რიცხვი ათის შემთხვევაში, მეათედი ერთია, მეხუთედი - ორი, ნახევარი - ხუთი; ჯამი (ერთი, ორი და ხუთი) - რვა და არა ათი. რიცხვი თორმეტის დანაწილებისას მისი მეთორმეტედი ერთია, მეექვსედი - ორი, მეოთხედი - სამი, მესამედი - ოთხი, შუაზე გაყოფით კი ექვსს ვიღებთ; ჯამი (ერთი, ორი, სამი, ოთხი და ექვსი) - თექვსმეტი და ა. შ. შესაბამისად, შესაქმის დღეების რაოდენობა არა უბრალო შემთხვევითობაა, არამედ რიცხვით სახელში «ექვსი» იღუმალი მოძღვრება ცხადდება, რომ ღვთისაგან არსებობაში მოყვანილი სამყარო, როგორც ყოვლადბრძენი ღმერთის შემოქმედება, მსგავსად ექვსის ზემოდამოწმებული განმარტებისა, დასაბამიდანვე *სრულყოფილი* და *უნაკლო* იყო.

ნაწილი მეორე - ქრისტიანული ანთროპოლოგია

თავი X. იმის შესახებ, თუ ვის ხატად შეიქმნა ადამიანი.

საეკლესიო ეგზეგეტიკური წყაროების შეჯერების შედეგად ასეთი სურათი იკვეთება: კაცობრივი ბუნება, ერთი მხრივ, ყოვლადწმინდა სამების, ე. ი. საღვთო ბუნების ხატად არის არარსებობიდან მყოფობაში შემოყვანილი, მაგრამ ამასთან, ჰიპოსტასური მნიშვნელობით, ყოველი კონკრეტული ადამიანი ღვთის (საკუთრივ ძე ღმერთის) ხატისებრ არის შექმნილი, ხოლო ხატისებრიობა ხატის შესაბამისობას გულისხმობს, ე. ი. მიგვანიშნებს, რომ ყოვლადწმინდა სამებაში არსებული ხატის სათანადოდ შეიქმნა ადამიანი.

ორივე განმარტება (ე. ი. ერთი მხრივ, საღვთო ბუნების ხატად შეგვამოწმება ადამიანისა და, მეორე მხრივ, ძე ღმერთის ხატისებრ ქმნა კაცისა) ბერძულენოვანი წმინდა წერილის ტერმინოლოგიური მონაცემითაც დასტურდება. საქმე ისაა, რომ ბერძულ ენაში საღვთო ტერმინები სამად ვგუფვდება. ესენია: **არსობრივი, ჰიპოსტასური და არსობრივ-ჰიპოსტასური ტერმინები**. არსობრივი შინაარსის ტერმინები მხოლოდ საღვთო ბუნებას მიემაართება, ჰიპოსტასური - ოდენ საღვთო პირებს, ხოლო არსობრივ-ჰიპოსტასური შინაარსის ტერმინოლოგია გამოიყენება როგორც ღმრთეების, ასევე თითოეული ჰიპოსტასის აღსანიშნავად. მოცემულ ვითარებაში ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ქართული ტერმინი „ხატი“, რომელსაც ბერძულ ენაში სამი შესატყვისი გააჩნია. ესენია: **μορφή, χαρακτήρ, εἶκόν**. საქმე ისაა, საეკლესიო სწავლების თანახმად, პირველი მათგანი (**μορφή**) **არსობრივი ტერმინია** და, შესაბამისად, ყოვლადწმინდა სამების (საღმრთო ბუნების) აღმნიშვნელად გამოიყენება; მეორე (**χαρακτήρ**) **ჰიპოსტასური მნიშვნელობისაა**, ამდენად, საღვთო პირებს (მამას, ძესა და სულიწმინდას) მიემაართება, ხოლო მესამე (**εἶκόν**) **არსობრივ-ჰიპოსტასური ტერმინია** (ე. ი. ორმაგი მნიშვნელობის მატარებელია) და კონტექსტის გათვალისწინებით, რიგ შემთხვევაში საღვთო ბუნების თაობაზე სწავლებას წარმოაჩენს, ზოგჯერ კი ცალკეული ჰიპოსტასის შესახებ მოძღვრებას გადმოგვცემს.

ბერძულენოვან წმინდა წერილში ადამიანზე საუბრისას სწორედ **არსობრივ-ჰიპოსტასური ტერმინი εἶκόν** (შდრ. καὶ εἶπεν ὁ θεὸς Ποιήσωμεν ἄνθρωπον κατ' εἰκόνα ἡμετέραν...) არის გამოყენებული, რითაც, ერთი მხრივ, საღვთო ბუნების ხატად გონიერი არსების ქმნადობის შესახებაა მოძღვრება გადმოცემული (ე. ი. ერთი მხრივ, არსობრივი დატვირთვით გამოიყენება ის), ხოლო მეორე მხრივ, ჰიპოსტასური მნიშვნელობის დამტკევი იგივე ტერმინი საკუთრივ ძის ჰიპოსტასისებრ ადამიანის შექმნის საიდუმლოს გაამხელს.

თავი XI. ეკლესიის მამათა სწავლება ადამიანისა და ცხოველის სამშენებელს შორის არსებული განსხვავების შესახებ.

შესაბამისი საეკლესიო წყაროების შეჯამებისას ადამიანისა და ცხოველის სამშენებელს შორის არსებულ განსხვავებებთან დაკავშირებით შემდეგი არსებითი დებულებები წარმოჩნდება: 1. კაცთა სამშენებელი ღვთისაგან არის შთაბერილი, ხოლო უტყვეი არსების ფსიხე (სამშენებელი) წყლისა და მიწისაგან იქმნება; 2. ადამიანთა სული შემოქმედისაგან ბოძებულ თავისთავად ცხოველმყოფელ ძალას ფლობს, რითაც სიცოცხლის ზიარად ხდის სხეულს, მაშინ როდესაც ცხოველთა სამშენებელი მხოლოდ სხეულთან კავშირში ავლენს სიცოცხლის უნარს და მისგან დამოუკიდებლად თავისთავადი მყოფობა არ ძალუძს; 3. საეკლესიო განმარტებების თანახმად, ადამიანის სამშენებელი სამნაწილედია (*პნევმური*, ე. ი. მოაზროვნე, *გულისთქმითი* და *გულისწყრომითი* ნაწილები), მაშინ როდესაც უტყვეი არსებების ფსიხე ოდენ ფსიხეა (მხოლოდ სამშენებელია), გარეშე პნევმური - მოაზროვნე ნაწილისა.

თავი XII. ეკლესიის მამათა სწავლება ადამიანში ღვთისაგან შთაბერილი სულის ადგილსამყოფელის შესახებ.

წმ. გრიგოლ ნოსელის, წმ. იოანე დამასკელისა და წმ. გრიგოლ პალამას სწავლებით, რომელიმე კონკრეტულ ორგანოში ყოველგვარი ლოკალური შემოსაზღვრულობის გარეშე, სული მთელ სხეულშია განფენილი. დავიმოწმებთ კაპადოკიელი მღვდელთმთავრის შემაჯამებელ ციტატას: სული „*თუთოუელსა ასოსა გამოუთქუმელითა რაგთაშე შეზავებითა სწორებით შეეზავების*“.

თავი XIII. სქესობრივი განსხვავების შესახებ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საეკლესიო ეგზეგეტიკაში არსებული სწავლებანი წმ. გრიგოლ ნოსელისა და ნეტარი ავგუსტინეს შესაბამისი მოძღვრებებით ჯამდება. ნისელი მღვდელთმთავრის თანახმად, წმინდა წერილის სიტყვები: „*და შექმნა ღმერთმან კაცი, ხატებისაებრ ღმრთისა შექმნა იგი, მამაკაცად და დედაკაცად შექმნა იგინი*“ (დაბ. 1.27) ორ ნაწილად უნდა გაიყოს, რადგან ადამიანის აგებულების საიდუმლოს, კერძოდ, ორბუნებოვნებას გაგვიმხელს. ხატისებრიობა (სიტყვები: „*ხატებისაებრ ღმრთისა შექმნა იგი*“) სულიერ ბუნებას მიემართება, რადგან სწორედ იგია მოაზროვნეობისა და მასთან დაკავშირებული მოქმედების (თავისუფალი ნებელობის, შემოქმედებითობის...) განმაპირობებელი, ხოლო სქესობრივი განყოფა (სიტყვები: „*მამაკაცად და დედაკაცად შექმნა*

იგინი“) პირუტყვითა ნივთიერ ბუნებასთან ადამიანის ნათესაობას ცხადყოფს, რადგან ჰექსამერონის მეხუთე და მეექვსე დღეს ოთხი ელემენტისგან იქმნებიან უტყვი არსებანი, რომლებშიც შესაქმისთანავე განიჭვრიტება მამრობა და მდედრობა და სწორედ მსგავს განსხვავებას ვხვდებით მათ შემდგომ შეგვაძოვნებული ადამისა და ევას ხორციელ ბუნებაში. ამასთან, იმავე ღირსი გრიგოლ ნოსელის მიხედვით, ყოვლისმცოდნე ღმერთმა წინდაწინ უწყოდა ღვთის ხატისებრ და მსგავსებისებრ შექმნილი გონიერი არსების დაცემა; ამიტომაც იმაგარი სხეულები შეუმზადა მათ, რომ კაცობრიობას გამრავლების შესაძლებლობა ჰქონოდა.

ნიტარი ავგუსტინეს მიხედვით, ზოგიერთები მიიჩნევენ, რომ ღმერთმა თავდაპირველად ადამიანური სული შექმნა, რომელიც მოგვიანებით მიწიდან შეგვაძოვნებულ სხეულში შთაბერა. აღნიშნულის დასტურად ხსენებული პირები წმინდა წერილის ორ, თითქოსდა ერთმანეთისგან დამოუკიდებელი მოვლენის მაუწყებელ ადგილზე მიუთითებდნენ. კერძოდ, მათი თქმით, სიტყვები: „**ხატებისებრ ღმრთისა შექმნა იგი**“ (დაბ. 1.27) სხეულის უწინარეს სულის არსებობას ადასტურებს და მოცემულ შემთხვევაში არაფერია თქმული სხეულის ქმნადობის თაობაზე, ხოლო „შესაქმის“ მეორე თავში გადმოცემული სწავლება: „**და დაჰბადა ღმერთმან კაცი - მიწაჲ ქუეყანისაგან**“ (დაბ. 2.7) ამჯერად ხორციელი ბუნების (ე. ი. სხეულის) წარმომავლობის საიდუმლოს გაამხელს, რომელსაც საღვთო შთაბერვით შეუკავშირდა პირველქმნილი სული. იპონიელი მღვდელთმთავრის თანახმად, წინდაწინ უწყოდა რა ყოვლისმცოდნე ღმერთმა, რომ მსგავსი ცდომილებებით შეეცდებოდნენ მაგანნი საუფლო სწავლების შერყენას, საფუძველშივე აღმოფხვრა ამგვარი აზრის არსებობის შესაძლებლობა, რაჟამს ღვთის ხატისებრ ქმნილი ადამიანის შესახებ უწყებას იქვე ასეთი სიტყვები შეჰმატა: „**მაჟაჲტად და დედაჲტად შექმნა იგინი**“, რადგან **მაჟაჲტებასა და დედაჲტებას** სხეულის შესაბამისობა განსაზღვრავს, ხოლო უსხეულო სული არასოდეს ექვემდებარება სქესობრივ განყოფადობას. ამდენად, „წერილის“ ხაზგასმული სიტყვები ღვთისაგან არსებობაში მოყვანილი ადამიანის, ერთი მხრივ, ორბუნებოვნების, ხოლო, მეორე მხრივ, სულისა და სხეულის მყისიერი თანაქმნადობის საიდუმლოს გვიცხადებს.

თავი XIV. ეკლესიის მამათა სწავლება გარდაცვალების შედეგად სტიქიონებად დაშლილი სხეულის აღდგომის შესახებ.

ეკლესიის მამათა სწავლების თანახმად, აღდგომის აუცილებლობას თავად ადამიანის აგებულება ცხადყოფს, რადგან ღმერთმა სულისა და სხეულის ერთობით უკვდავად შექმნა იგი და ესაა ჩვენი ბუნებრივი მდგომარეობა, მაგრამ პირველქმნილმა ცოდვამ აღნიშნული ერთობა

დაარღვია და ღმრთის ხატად და მსგავსად ქვეყნიერებას მოვლენილი არსება მოკვდავობას დაექვემდებარა. ამიტომაც ცოდვით დაცემულ პირველშობელთაგან გამრავლებული კაცობრიობისთვის სიკვდილი იქცა ბუნებრივ მდგომარეობად, თუმცა რადგანაც ღმერთმა ადამიანი სულისა და სხეულის ერთობით შექმნა, გარდაცვალებით განპირობებული უხილავი და ხილული ბუნებების (სულისა და სხეულის) განცალკევება მხოლოდ და მხოლოდ დროებითი მოვლენაა, რაც გარკვეულ ჟამს, კერძოდ, მაცხოვრის მეორედ მოსვლისას, კაცობრიობის საყოველთაო აღდგომით დასრულდება და, წმინდა წერილის თანახმად, ყოველი სული იმ განახლებულ სხეულს დაუბრუნდება, რომელშიც ოდესღაც მკვიდრობდა და სწორედ ამ სახით წარდგება საშინელ სამსჯავროზე წუთისოფლად მეუფებით მოსული იესო ქრისტეს წინაშე. შესაბამისად, ვინაიდან აღდგომა საყოველთაო განკითხვას უკავშირდება, ხოლო განკითხვა პიროვნების ხორციელი ცხოვრებისას თავისუფალი ნებით აღსრულებული ცოდვა-მადლის მიხედვით მოხდება, დიდი უსამართლობა იქნება განსჯა მხოლოდ უხილავისა (სულისა), ხილულის (სხეულის) გარეშე, რადგან ადამიანი ამქვეყნიურ ცხოვრებაში სულისა და სხეულის ერთობით მოქალაქეობს. ამიტომაც მისაგებელი ორივეს (სულსა და სხეულს) განეკუთვნება.

თავი XV. ძველ აღთქმაში განჭვრეტილი ყოვლადწმინდა სამების საიდუმლო.

საეკლესიო ეგზეგეტიკური წყაროების თანახმად, ძველ აღთქმაში მოღვაწე მამათმთავარებმა და წინასწარმეტყველებმა სულიწმინდით შეიმცნეს, რომ სამყაროს შემოქმედი ერთარსი ღმერთი სამპიროვანია, თუმცა რჩეული ერის სულიერი სწეულებების მიზეზით აღნიშნულის შესახებ ხმამაღლა არ ქადაგებდნენ. ამასთან, საკუთრივ «დაბადების» წიგნის პირველ თავში ორგზის არის წარმოჩენილი ერთარსი ღმერთის სამპიროვნულობა. კერძოდ, პირველი მითითება დასაწყის ორ მუხლში გვხვდება, სადაც დასაბამად ქმნილი ცისა და ქვეყნის შესახებაა უწყება გადმოცემული, მეორე მითითება კი იმავე თავის 26-ე მუხლს უკავშირდება.

თავი XVI. წმინდა წერილის ენა, როგორც მისტეკური ღვთისმეტყველება.

ეკლესიის ისტორიიდან ცნობილია ორი, - ალექსანდრიული და ანტიოქიური, - სკოლა, რომელთა წარმომადგენელნი ერთურთისგან განსხვავებული ხერხით განმარტავდნენ წმინდა წერილს. ალექსანდრიული სკოლის მახასიათებელი წმინდა წერილის სიმბოლური ეგზეგეტიკა იყო.

რაც შეეხება ანტიოქიურ სკოლას, მისი მიზანი იყო, ბიბლიის ისტორიული უწყება ეთიკურ ეგზეგეზისთან შეუღლებინა და ამ სახით მიეწოდებინა მსმენელისა თუ მკითხველისთვის. შედეგად, აღნიშნულმა მიმართულებამ, არსებითად, წმინდა წერილის ზნეობრივი ხასიათის კომენტარებს დაუდო დასაბამი. ორივე სკოლის საბოლოო მიზანი კი წმინდა წერილში დაფარული სახით გადმოცემული სწავლების წარმოჩენაა.

დასკვნა

წინამდებარე სადოქტორო ნაშრომი თექვსმეტ თავს აერთიანებს. ამდენად, თითოეულ თავთან დაკავშირებულ დასკვნას შესაბამისი თანმიმდევრობით წარმოვადგენთ:

1. ეკლესიის მამათა სწავლების მიხედვით, სამყაროს ქმნადობა («დაბადების» პირველ ორ მუხლში გადმოცემული სწავლება) ღვთისაგან აღსრულებული **უყაშო**, **მყისიერი** მოქმედებაა.

2. წმ. ბასილი დიდის თანახმად, მყისიერი შესაქმნისას (*შდრ. ლაბ. 1. 1-2*) საყოველთაოდ ცნობილი ოთხი ელემენტიდან **მიწა**, **წყალი** და **ჰაერი** იძენს მყოფობას, ხოლო «დღე ერთისას» (*შდრ. ლაბ 1.3*) მეოთხე სტიქიონი - **ცეცხლი** იქმნება და «წერილმა» სწორედ მას უწოდა «**ნათელი**». ღირსი გრიგოლ ნოსელის მიხედვით, წმინდა წერილში ამოკითხული შინაარსი ჰექსემერონის პირველ დღეს მხოლოდ ერთი ელემენტის, ნათლის (ცეცხლის) ქმნადობის შესახებ მოძღვრებას აღგვიწერს, მაგრამ იქვე მოიაზრება დანარჩენი სამიც (მიწა, წყალი და ჰაერი). უნდა აღინიშნოს, რომ წმ. იოანე დამასკელი დოგმატური ღვთისმეტყველების შემაჯამებელ სახელმძღვანელოში ზემოდამოწმებული ორი განსხვავებული სწავლებიდან ღირსი ბასილი დიდის მოძღვრებას იზიარებს. მისი თქმით, ჰაერი და წყალი ის სტიქიონებია, რომლებიც შესაქმნის პირველ დღემდე იძენენ დასაბამს.

3. წმ. ბასილი დიდის, წმ. იოანე დამასკელისა და სევერიანე გაბალოვნელის სწავლებების თანახმად, ღვთისაგან მეორე დღეს შექმნილი მყარის რამდენიმე უმნიშვნელოვანესი ფუნქცია იკვეთება. კერძოდ, მისი (მყარის) საშუალებით ზეცაში წყლის გარკვეული მარაგი იქნა დაუნჯებული, რომლითაც, საჭიროების შემთხვევაში, ერთი მხრივ, ქვეყნიური (ანუ მყარს ქვედა) წყლების მარაგის შევსება ხდება; მეორე მხრივ, ზედა წყლები უშუალოდ მყარს ქვემოთ განთავსებული ეთერული სიმზურვალისა და ზეციურ მანათობლებში დავანებული ცეცხლისგან იცავენ მყარს და რომ არა ნოტიო სტიქიონის დიდი ოდენობა, ცად წოდებული მყარი დაირღვეოდა (ცეცხლის მიერ შეიშუსრებოდა). ამასთან, წყლით შემოსაზღვრული მყარს ზედა სივრცე იმავე სტიქიონის სიჭარბის

მიზეზით გაუმჭვირვალეა და მანათობელი სხეულისგან გამოვლენილ სინათლეს დედამიწის საპირისპირო მიმართულებით არ ატარებს. შესაბამისად, შიგნითა მხარეს მიმართავს მას, რითაც სამყაროში ხილული სინათლის არსებობას განაპირობებს. განსხვავებულ მოძღვრებას წარმოგიდგენს წმ. გრიგოლ ნოსელი. კაპადოკიელი მღვდელთმთავრის თანახმად, «წერილმა» არამატერიალურისა და მატერიალურის საზღვარს უწოდა «მყარი», რომლის ზემოთაც ნივთიერი ელემენტი ვერასოდეს განთავსდება.

4. წმ. ბასილი დიდისა და ღირსი იოანე დამასკელის თანახმად, ჰექსემერონის პირველი სამი დღე-ღამე ნათლის გაშლისა და შემჭიდროების შედეგია (სინათლის შეკუმშვისას ღამე დგებოდა, ხოლო გაშლისას - დღე). წმ. გრიგოლ ნოსელის მიხედვით, ჰექსემერონის პირველი სამი დღე-ღამის მონაცვლეობა მატერიალური სამყაროს გარშემო მოძრავი ცეცხლის სტიქიონის გადაადგილებაზეა დამოკიდებული.

5. ეკლესიის მამათა სწავლების თანახმად, მესამე დღეს წყლების თანაშემოკრება დედამიწაზე საღვთო განგებულებით წარმოქმნილმა ჩაღრმავებებმა განაპირობა. იმავე დღეს მცენარეების აღმოცენება კი მათი უშუალო შემოქმედი ღმერთის იდუმალებას გაამხელს, რომელმაც მზის უწინარეს შემოიყვანა ისინი არარსებობიდან მყოფობაში.

6. საეკლესიო სწავლების მიხედვით, მზე, მთვარე, ვარსკვლავები და, ზოგადად, პლანეტები საკუთრივ ცეცხლის სტიქიონისაგან არიან შეგვამოვნებული.

7. წმ. ბასილი დიდის, წმ. იოანე დამასკელისა და სევერიანე გაბალოვნელის მიხედვით, საღვთო ყოვლისშემძლეობით შექმნილ ოთხ სტიქიონში თვისობრივი განსხვავების მიზეზით ქიშპობა ცეცხლისა და წყლის ელემენტებს შორის მიმდინარეობს, რა დროსაც ცეცხლი, როგორც უფრო ძალმოსილი, სძლევს წყლის სტიქიონს და განლევს მის ოდენობას (ხსენებულ მოძღვართა თანახმად, სწორედ დაპირისპირების შედეგად აღმოფხვრილი წყლის შესავსები მარაგებია მყარს ზემოთ განთავსებული ნოტიო სტიქიონი). წმ. გრიგოლ ნოსელის განსხვავებული განმარტების მიხედვით, მართალია, ცეცხლი და წყალი საწინააღმდეგო თვისებების მქონენი არიან, მაგრამ ღვთისაგან შექმნილ სამყაროში არასოდეს ხდება ერთის განლევა და მეორის მატება. ამდენად, ნისელი მღვდელთმთავარისა და ნემესიოს ემესელის თქმით, **ელემენტებს შორის ურთიერთგარდაქმნის პროცესი მიმდინარეობს**, რაც შესაძლებლობას იძლევა სტიქიონთა როდენობა მუდმივად ინარჩუნებდეს თანაფარდობას.

8. შესაქმის თითოეული დღის ხანგრძლივობას ეკლესიის მოძღვარნი (წმ. თეოფილე ანტიოქიელი, წმ. ათანასე ალექსანდრიელი, წმ. ბასილი დიდი, წმ. ეფრემ ასური, წმ. გრიგოლ ნოსელი, ნეტარი აგვუსტინე,

ანდრია კესარია-კაპადოკიელი, წმ. იოანე დამასკელი, წმ. ექვთიმე ათონელი) მკაცრად განსაზღვრულ ასტრონომიულ, ოცდაოთხსაათიან ჟამად განიხილავენ.

9. წმინდა წერილში აღწერილი სამყაროს ქმნადობის პროცესი ექვს დღეს უკავშირდება, რაც საეკლესიო განმარტებების თანახმად, რიცხვი ექვსის სრულყოფილებით არის განპირობებული.

10. საეკლესიო ეგზეგეტიკური წყაროების შეჯამების შედეგად უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანური ბუნება, ერთი მხრივ, ყოვლადწმინდა სამების ბუნების (ე. ი. ღმრთეების) ხატად შეიქმნა, ხოლო მეორე მხრივ, ჰიპოსტასური მნიშვნელობით, საკუთრივ ადამი ყოვლადწმინდა სამების მეორე პირის - ძე ღმერთის ხატად შეგვაპოვნდა.

11. ადამიანისა და ცხოველის სამშენველთა შორის არსებულ განსხვავებებთან დაკავშირებით შემდეგი არსებითი დებულებები წარმოჩნდება: 1. კაცთა სამშენველი ღვთისაგან არის შთაბერილი, ხოლო უტყვი არსების ფსიხე (სამშენველი) წყლისა და მიწისაგან იქმნება; 2. ადამიანთა სული შემოქმედისაგან ბოძებულ თავისთავად ცხოველმყოფელ ძალას ფლობს, რითაც სიცოცხლის ზიარად ხდის სხეულს, მაშინ როდესაც ცხოველთა სამშენველი მხოლოდ სხეულთან კავშირში ავლენს სიცოცხლის უნარს და მისგან დამოუკიდებლად თავისთავადი მყოფობა არ ძალუძს; 3. ადამიანის სამშენველი სამნაწილეია (**პნევმური, ე. ი. მოაზროვნე, გულისთქმითი და გულისწყრომითი** ნაწილები), მაშინ როდესაც უტყვი არსებების ფსიხე ოდენ ფსიხეა (მხოლოდ სამშენველია), გარეშე პნევმური - მოაზროვნე ნაწილისა.

12. ეკლესიის მამათა სწავლების თანახმად, სული არა რომელიმე კონკრეტულ ორგანოში, არამედ ყოველგვარი ლოკალური შემოსაზღვრულობის გარეშე მთელ სხეულშია განფენილი.

13. საეკლესიო წყაროების შეჯერების შედეგად ადამიანთა შორის არსებული სქესობრივი განსხვავება საღვთო განგებულებით რამდენიმე მიზეზმა განაპირობა: 1. ადამიანის ორბუნებოვნებას (სულიერსა და ხორციელ ბუნებებს) წარმოაჩენს; 2. სულისა და სხეულის თანადროულ ქმნადობას ცხადყოფს; 3. ყოვლისმცოდნე ღმერთმა, წინდაწინ უწყოდა რა ღვთის ხატისებრ და მსგავსებისებრ შექმნილი ადამიანის დაცემა, იმგვარი სხეულები შეუმზადა მათ, რომ კაცობრიობას გამრავლების შესაძლებლობა ჰქონოდა.

14. წმინდა წერილისა და ეკლესიის მამათა სწავლების თანახმად, ვინაიდან ღმერთმა სულისა და სხეულის ერთობით უკვდავად შექმნა ადამიანი, ცოდვით დაცემის შემდგომ ჩვენს ბუნებაში ჩენილი ცვალებადობა (ხრწნადობა, ვნებულება და მოკვდავება) დროებითი, არაბუნებრივი მოვლენაა. ამიტომაც შესაბამის ჟამს კაცობრიობა

მკვდრებით აღდგომის საიდუმლოს დაექვემდებარება და ყოველი სული იმ განახლებულ სხეულს დაუბრუნდება, რომელშიც ოდესღაც მკვიდრობდა იგი.

15. საეკლესიო ეგზეგეტიკური წყაროების მოწმობით, ძველი აღთქმის ეპოქაში მოღვაწე მამათმთავრები და წინასწარმეტყველები სულიწმინდის მაღლით იმეცნებდნენ ერთარსი ღმერთის სამპიპოსტასურობას. ამასთან, «დაბადების» წიგნის პირველ თავში ორგზის გაცხადდა ერთბუნებოვანი ღმერთის სამპიროვნულობა.

16. წმინდა წერილში ცხოველყოფელი საღვთო სიტყვით აღწერილი მოვლენები სშირ შემთხვევაში ღრმა მისტიური, სიმბოლური შინაარსითაა დატვირთული და მათი უცთომელი შემეცნება მხოლოდ და მხოლოდ საეკლესიო ეგზეგეტიკური წყაროების საფუძვლიანი შესწავლით ხდება შესაძლებელი.

სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული პუბლიკაციების ნუსხა

1. ირაკლი ორჟონია. „წმინდა წერილის ენა, როგორც მისტიკური ღვთისმეტყველება პატრისტიკულ მემკვიდრეობაში“; სამეცნიერო-საღვთისმეტყველო ჟურნალი რელიგია, N2, თბილისი, 2015, გვ. 20-32.

2. ირაკლი ორჟონია. „ეკლესიის მამათა ჰექსემერონული კომენტარების თეოლოგიური ანალიზი“; თბილისის სასულიერო აკადემია, საღვთისმეტყველო-სამეცნიერო შრომები VI, თბილისი, 2015, გვ. 32-106.

3. ირაკლი ორჟონია. „ეკლესიის მამათა სწვალება შესაქმის დღეების საათობრივი ხანგრძლივობის შესახებ“; თბილისის სასულიერო აკადემია, გრაგნილი IV, საეკლესიო-სამეცნიერო კრებული, თბილისი, 2016, გვ. 289-337.

4. ირაკლი ორჟონია. „იმის შესახებ, თუ ვის ხატად შეიქმნა ადამიანი“, ჟურნალი „რელიგია“, N 1, თბილისი, 2017, გვ. 23-42.

На правах рукописи

